



ვაშლი ყველაზე ფართოდ გავრცელებული თესლოვანი ხეხილოვანი კულტურაა, რომელიც ზომიერ სარტყელში პირველ ადგილს იკავებს მნიშვნელობის მიხედვით. საქართველოში ხილის მთლიან წარმოებაში ყველაზე დიდი წილი სწორედ ვაშლს უჭირავს.

ვაშლი მაღალი კვებითი და დიეტური ღირებულებით გამოირჩევა. ნაყოფი მდიდარია ნახშირწყლებით, ორგანული მჟავებით, ვიტამინებით და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სხვა ნივთიერებებით. ვაშლის ნაყოფები შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ანტიოქსიდანტური (ანტიოქსიდანტები ნივთიერებებია, რომელთაც აქვთ უნარი დათრგუნონ ორგანიზმში მიმდინარე უანგვითი პროცესები) თვისებებით ხასიათდებიან. სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ ვაშლის რეგულარული მოხმარება აძლიერებს იმუნურ სისტემას, ამცირებს სისხლის არტერიულ წნევას და ინფარქტის ალბათობას, აუზღოვებს სისხლს მიმოქცევას.

ბუნებრივ პირობებში ვაშლი წარმოადგენს საშუალო ან დიდი ზომის ხეს, რომელიც ცოცხლობს და მსხმოიარობს 60 - 80 წელს. კომერციულ წარმოებაში ვაშლის ბაღის მსხმოიარობაში შესვლის დრო, მოსავლის რაოდენობა და ექსპლუატაციის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნარგავის ტიპზე, ფორმირების წესზე, ჯიშზე და საძირზე. ამ ეტაპზე, სამრეწველო ნარგავებში ხეივანება, როგორც წესი, არ აღემატება 15-20 წელიწადს.

ჭიშკა

გოლდენ დელიშესი - ყველაზე გავრცელებული ჯიშის მსოფლიოში. ცნობილია ამ ჯიშის მრავალი კლონი, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია გოლდენ სმუტი, გოლდენ ბი, გოლდენ რეინდერსი, გოლდსპერი და სხვა. ხე საშუალო ზრდისაა, ადრე შედის მსხმოიარობაში, მაღალმოსავლიანია, მოითხოვს ნაყოფების დანორმებას. ნაყოფი ყვითელი ფერისაა, კონუსური, საშუალო ან დიდი ზომის, ხასიათდება საუკეთესო საგემოვნო თვისებებით, იკრით სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში, ინახება აპრილ-მაისამდე, მაღალპროდუქტიული წამყვანი ჯიშია.

ზამთრის ბანანი - ვაშლის ამერიკული ჯიშია. ხე საშუალო ზრდისაა, მაღალმოსავლიანია, ნაყოფი ყვითელი ფერის, მრგვალი, მის მხარეს ალისფერი ლოყით, საშუალო ან დიდი ზომისაა, აქვს დამახასიათებელი არომატი, ხასიათდება საუკეთესო საგემოვნო თვისებებით, იკრით სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში, ინახება მარტ-აპრილამდე. მაღალპროდუქტიული ჯიშია, თუმცა კარგავს პოპულარობას.

კუხუა - ადგილობრივი ჯიშია. აერთიანებს კლონების პოპულაციას, რომელიც განსხვავდება ერთმანეთისგან შეფერვით, შენახვისუნარიანობით და რბილობის

წვნიანობით. ხე ძლიერი ზრდისაა, მსხმოიარობაში გვიან შედის, მაღალმოსავლიანია, ხასიათდება მენლეობით. ნაყოფი ნივთიერებისა, მრგვალი, მსხვილი, საგემოვნო თვისებები საშუალოა. იკრით ოქტომბრის ბოლოს, კარგად ინახება მაის-ივნისამდე. მაღალპროდუქტიული ჯიშია, რეკომენდებულია სამრეწველო მეხილეობის მონისთვის.

შამპანური რენეტი - ძველი ევროპული ჯიშია. ხე საშუალო ზრდისაა, მალე შედის მსხმოიარობაში, მაღალმოსავლიანია, ნაყოფი ყვითელი ფერის, საშუალო ზომის, კანი გლუვი, პრიალა. მოგჭერ ალისფერი ლოყით, ფორმით შებერელებული, საშუალო ზომის, იკრით სექტემბრის ბოლოს - ოქტომბრის დასაწყისში, ინახება აპრილ-მაისამდე, ნელ-ნელა კარგავს პოპულარობას.

ქართული სინაპი - ადგილობრივი ჯიშია. ხე ძლიერი ზრდისაა, გვიან შედის მსხმოიარობაში, მაღალმოსავლიანია, ნაყოფი მოგრძო-ცილინდრული ფორმისაა, მწვანე ფერის, მის მხარეს შეფერილია ჟოლოსფერ-წითლად. იკრით ოქტომბრის მეორე ნახევარში, ინახება აპრილ-მაისამდე. რეკომენდებულია სამრეწველო მეხილეობის მონისთვის.

რედ დელიშესი - ცნობილი ამერიკული ჯიშია, ნაპოვია მე-19 საუკუნეში შემთხვევითი თესლენერგის სახით. გავრცელებულია ამ ჯიშის მრავალი კლონი, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია სტარკრისონი, რედ ჩიფი, სტარკ დელიშესი, ჯერონიმო, რედ კაპი და სხვა. ხე სუსტი ზრდისაა, მალე შედის მსხმოიარობაში, მაღალმოსავლიანია, მოითხოვს დანორმებას, ნაყოფი ნივთიერი, სრულ სიმწიფეში მუქი იისფერი-შავი, კონუსური, საშუალო ან დიდი ზომის, ხასიათდება კარგი საგემოვნო თვისებებით, იკრით სექტემბრის შუა პერიოდში ან სექტემბრის ბოლოს, ინახება მარტ-აპრილამდე. რეკომენდებულია სამრეწველო მეხილეობის მონისათვის.

გალა - ამ ახალშეგნადი ჯიშის მრავალი კლონი არსებობს, მათ შორის, როიალ გალა, გალა მასტი, გალაქსი, შნიგა, გილ-გალა, და ა.შ. ხე საშუალო ზრდისაა, ნაყოფი კონუსური ფორმის, საშუალო მასა 170 - 190 გრამია, შეფერვა - ალისფერ-წითელი, დანინჯილია ოდნავ შესამჩნევი თეთრი წერტილებით. გამოირჩევა მიმდევრული სასაქონლო სახით, საუკეთესო საგემოვნო თვისებებით, სიმწიფეში შედის და იკრით სექტემბრის დასაწყისში, მწიფდება არაერთდროულად, იკრით ორ ვადაში. მოხმარება მოკრეფისთანავე, დაავადებების მიმართ მიმდებარია. სარდაფის პირობებში ინახება მარტ-აპრილამდე. მაღალპროდუქტიული და უხვმოსავლიანი ჯიშია, პერსპექტიულია სამრეწველო მეხილეობის მონისათვის.

აიდარედი - საგვიანო სიმწიფის პერიოდის ამერიკული ჯიშია (ვაგნერი X ჯონათანი). ხე სუსტი ზრდისაა, ნაყოფი იკრით ოქტომბრის მეორე დეკადში. ჯიშ

გამორჩევა მაღალი მოსავლიანობით. ნაყოფი საშუალომე მსხვილია (180-200 გრამი), მომრგვალო ფორმის, კანის ძირითადი შეფერვა მოყვითალოა, რომელიც მთლიანად დაფარულია ალისფერ-წითელი ფერით. რბილობი ხასიათდება სასიამოვნო გემოთი. სარდაფის ჩვეულებრივ პირობებში ინახება მაისამდე, თუმცა შენახვისას მიანდება კანქვეშა წერტილოვანი სილაქავით. რეკომენდებულია გასაყვრელებად აღმოსავლეთ საქართველოს მეხილეობის სამრეწველო რეგიონებისთვის.

მუცე - საგვიანო პერიოდის იაპონური ჯიშია (მიღებულია გოლდენ დელიშესისა და ინდოს შეჯვარებით). ხასიათდება საშუალო ზრდის სიძლიერითა და მობრტყო-მომრგვალო ფორმის ვარჯით. მსხმოიარობაში საშუალო საძირზე შედის მე-4-5 წელს, მოსავლიანობა საშუალო ან მაღალი, ჯიშს მიდრეკილება აქვს მენლეობისკენ. საუკეთესო დამამტვერიანებლებია: აიდარედი, გოლდენ დელიშესი. ნაყოფი კონუსური ფორმისაა, მსხვილი (210-230 გ), საუკეთესო სასაქონლო სახის, ძირითადი შეფერვა - მომწვანო-ოქროსფერი (ყვითელი), მკაფიოდ გამოსატყული კანქვეშა წინკლებით. პერსპექტიული ჯიშია გასაყვრელებად.

ჯონაგოლდი - ამერიკული ჯიშია, წარმოებაში გავრცელებულია ჯონაგოლდის შემდეგი კლონები: ჯონაგორედი, ჯონიკა, რედ ჯონაპრინცი, ვილმუტა და ა.შ. რბილობი - მოყვითალო, წერილმარცვლოვანი კონსისტენციის, ოდნავ მომავო, მაგრამ მაღალი საგემოვნო თვისებებით. სარდაფის პირობებში ინახება აპრილამდე. პერსპექტიული ჯიშია გასაყვრელებად.

ფუჯი - იაპონური ჯიშია. ფუჯის მრავალი კლონი არსებობს, მათ შორის, ფუჯი ნაგა-ფუ 12, ფუჯი კიკუ, სან ფუჯი და ა.შ. ხე საშუალო ზრდისაა. ნაყოფი მომრგვალო-კონუსური ფორმისაა, საშუალო მასა - 180-200 გრამი, შეფერვა - წითელი. გამოირჩევა მიმდევრული სასაქონლო სახით. რბილობი ხრაშუნა, ყვითელი ფერის, წერილმარცვლოვანი, ტკბილი გემოსი. იკრით ოქტომბრის შუა რიცხვებში. სარდაფის პირობებში ინახება აპრილ-მაისამდე. მაღალპროდუქტიული და უხვმოსავლიანი ჯიშია. მიდრეკილია მენლეობისკენ. პერსპექტიულია სამრეწველო მეხილეობის მონისათვის.

გრანი სიმტი - ავსტრალიური ჯიშია. ხე საშუალო ზრდისაა. ნაყოფი მომრგვალო-კონუსური ფორმისაა, საშუალო მასა - 180-200 გრამი, შეფერვა - მწვანე. ნაყოფები დანინჯილია შესამჩნევი თეთრი წერტილებით. გამოირჩევა მიმდევრული სასაქონლო სახით. რბილობი ხრაშუნა, მომწვანო-მოთეთრო ფერის, გემო მომავო-მოტკბო, იკრით ოქტომბრის შუა რიცხვებში. სარდაფის პირობებში ინახება აპრილ-მაისამდე. მაღალპროდუქტიული და უხვმოსავლიანი ჯიშია, პერსპექტიულია სამრეწველო მეხილეობის მონისათვის.

გამწვანების სისტემები

ბაღში მცენარეთა განლაგების სწორი სისტემის შერჩევა საშუალებას იძლევა ფართობის ერთეულზე განლაგდეს მცენარეთა ოპტიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მცენარეთა მიერ კვების არის მაქსიმალური ათვისება, სინათლის ეფექტიანი გამოყენება, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია, გაიმარდოს შრომის ნაყოფიერება.

ამჟამად, ფართოდ გამოიყენება მცენარეთა სწორკუთხოვანი განლაგება. ვაშლის ინტენსიური ბაღის გამწვანების გავრცელებული სქემებია: 4-3,3 X 1,0, 4-3,3 X 1.25, 4,0 - 3,3 X 1.5, 4,0-3,3 X 1,0, 3,5 X 1.25, 4,0 - 3,3 X 1.5 მ. ვაშლის დარგვა შესაძლებელია როგორც შემოდგომით, ასევე გაზაფხულზე. ნახევრად ინტენსიურ ბაღებს საშუალო





ზრდის საძირეზე ამენებენ კვების ართ 5,0 X 3,0, მ 5,0 X 2,50 მ.

გავრცელებულია ვაშლის ბაღის შემდეგი ტიპები: სტანდარტული ბაღი, ნახევრად ინტენსიური და ინტენსიური.

სტანდარტული ბაღი - იყენებენ ძლიერ საძირეზე დამცნი ნერგებს. მცენარეთა რაოდენობა პეტარზე არ აღემატება 250-300 ხეს. ბაღი მსხოიარობაში შედის გვიან, დარგვიდან მე-7-8 წელს, გამოირჩევა მაღალი ადატაციის უნარით გარემო არახელსაყრელი პირობების მიმართ.

ნახევრად ინტენსიური ბაღი - შენდება საშუალო სიძლიერის საძირეზე დამცნი ნერგისაგან. არ მოითხოვს საყრდენ სისტემას. ვაშლის ბაღებში საძირეზეად გამოიყენება M7, MM106, M26. მცენარეთა რაოდენობა პეტარზე აღწევს 700-1000 ხეს. მსხოიარობაში შედის დარგვიდან მე-4-5 წელს. ფორმირების გავრცელებული ტიპი - ცენტრალური ლიდერული და გაუმჯობესებული იარუსიანი. ხეების საშუალო სიმაღლე აღწევს 3 - 3,5 მეტრს.

ინტენსიური („მოკლე ციკლის“) ბაღი მოფლეთი ყველაზე გავრცელებული ტიპია ვაშლის კულტურისთვის. ბაღი შენდება საყრდენ სისტემაზე ნაგალა საძირეზე დამცნი ნერგისაგან. ვაშლისთვის საძირეზეად გამოიყენება M9-ს სხვადასხვა კლონი PAJAm1, PAJAm 2, EMLA M337 ან m26. მცენარეთა რაოდენობა პეტარზე გაზრდილია და აღწევს 1650-3300 ხეს. ბაღი შენდება კარგად განვითარებული ერთლიანი ან ორლიანი ფორმირებაზე ნერგით. მსხოიარობაში შედის დარგვიდან მე-2-3 წელს. ფორმირების გავრცელებული ტიპი - შპინდელი, მაღალი შპინდელი, სლენდერ-შპინდელი, ფრანგული თითისტარისებრი, პიტევი, სოლაქსი და სხვა.

ნაკვეთის მომზადება დასარგავად

დარგვამდე ნიადაგის მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და როგორც წესი იწყება გაშენებამდე რამდენიმე თვით ადრე. ნიადაგის ზედაპირის მოსწორების შემდეგ, საჭიროა ნიადაგის ღრმად დამუშავება 40 - 60 სმ-ზე, საპლანტაჟე გუნთის ან ღრმა „ჩიხლების“, „რიპერების“ გამოყენებით.

დარგვამდე, ნიადაგის ანალიზის შესაბამისად, ხდება მინერალური სასუქებით განყოფილება. ასევე, ორგანული სასუქების (გადაშვარი ნაკელი, კომპოსტი და სხვა) დამატება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, ნაყოფიერებას და ტენის შეკავების უნარს. ნიადაგის მომზადების აუცილებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს დარგვამდე რამდენიმე თვით ადრე.

ნერგების შერჩევა

სამრეწველო დანიშნულების ვაშლის ბაღის გაშენებისთვის რეკომენდებული დასარგავი მასალა ერთლიანი ან ორლიანი ნერგი. როგორც წესი, ვაშლის ნერგის ხარისხი დამოკიდებულია შტამბის დამეტრზე, ფესვთა სისტემაზე და ტოტების რაოდენობაზე. დასარგავად შერჩეული ნერგი უნდა იყოს სულ მცირე 1,2 - დან 1,8 მეტრამდე სიმაღლის, უნდა ჰქონდეს კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა და

სწორი ღერო. შტამბის დიამეტრი ფესვის ყელიდან 10-15 სმ-ის სიმაღლეზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 12-15 მმ-ს. შედარებით პატარა ზომის ნერგის დარგვის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ მის ჩამოყალიბებას უფრო მეტი დრო და ზრუნვა სჭირდება.

დატოვებული ნერგებით ბაღის გაშენებისას ფერმერი უფრო ადრე მიიღებს მოსავლას; ასეთი ტიპის ნერგის ფორმირებაც გაცილებით მარტივია. განსაკუთრებით მიზანშეწონილია ე.წ. „კნიპ-ბაუმი“ ტიპის დატოვებული ნერგების დარგვა, რომელსაც საყვავილე კვირტები უკვე ჩასახული აქვთ სანერგეში და მსხოიარობას დარგვიდან მალე იწყებენ. დაუტოვებელი ნერგი მისაღებად, როდესაც ხდება ნახევრად ინტენსიური ბაღების გაშენება.

ღარგვის

დარგვის დროს სასურველია ორმო ამოღებული იყოს ბაღის გაშენებამდე რამდენიმე დღით ადრე. ორმოს დიამეტრი უნდა შეადგენდეს 40-50 სმ-ს, ხოლო სიღრმე - 30-40 სმ-ს. მაღალი სიხშირის ინტენსიური ბაღების გაშენებისას მიმართავენ ნერგების 30-40 სმ-იან ტრანშეებში დარგვას.

დარგვის წინ ნერგებს ათავსებენ მზისგან დაცული ადგილზე და/ან ფესვების გამოშრობის თავიდან ასაცილებლად, აფარებენ სველ ტილოს.

დარგვის წინ ნერგი უნდა შემოწმდეს და დაზიანებული ფესვის ბოლოები მომიერად დამოკლდეს. ფესვებს ორმოში კარგად ზლიან. ფესვებს შორის სიცარიელე რომ შეივსოს, საჭიროა მიეყაროს ფხვიერი მიწა და ფესვით მიტეკუნოს. მიწის მიყარვისას ნერგი აწვე-დანვით, ფრთხილად უნდა შეივსოს. ნამყენი ადგილი თავსდება ნიადაგის ზედაპირიდან 10 -15 სმ-ის სიმაღლეზე, M9 საძირეზე, MM106 საძირეზე - 3-5 სმ-ის სიმაღლეზე. დარგვის შემდეგ უშვობსა სარის შედგმა და ნერგის მიბმა.

ნამყენი ადგილის სიმაღლე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საძირით განპირობებული ზრდის ხარისხზე. თუმცა, არ არის რეკომენდებული, რომ დამცნობის ადგილი ნიადაგის ღრმეზე 10 სმ-ზე მეტ სიმაღლეზე მოექცეს.

ღარგვის შემდგომი ღონისძიებები

დაუტოვებელი ნერგის ცენტრალური ლიდერი უნდა დამოკლდეს 100 -120 სმ-მდე. ნაგალა საძირეზე დამცნობილი (მაგალითად, M.9 და B.9) ძლიერ დატოვებული 2 წლიანი ნერგის ცენტრალური ლიდერი და გვერდითი ტოტები არ მოკლდება.

განყოფილება

ბაღის გაშენების დროს, გასაშენებელ ორმოებსა და ტრანშეებში სასურველია მხოლოდ კარგად გადამწვარი ნაკელის, არამაჟე ტორფის ან ძველი კომპოსტის შეტანა. ასევე შესაძლებელია მცირე რაოდენობის ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა ორმოს ფსკერზე - ერთ ორმოზე, საშუალოდ, 0,1-0,2 ჯგ ფოსფორი, 0,06 ჯგ კალიუმი. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ფესვის სასუქებთან უშუალო კონტაქტში შესაძლებელია გამოიწვიოს ნერგის ფესვების დაზვა და გახშობა. განოყიერების საორიენტაციო სქემა N90-120, P205 -90-120, K - 60 -90.

ნიდაგის მოვლის პრინციპები

ვაშლის ბაღში ნიადაგის მოვლა ერთ-ერთი საპასუხის-მგებლო და მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებაა, რომლის ძირითადი მიზანია, ოპტიმალური პირობების შექმნა მცენარეების ნორმალური განვითარებისათვის, რათა არ შეიქმნას სირთულეები საკვები ელემენტებით, წყლით და სინათლით ბაღის უზრუნველყოფის, აგრეთვე, სამუშაო ძალისა და ტექნიკის მოძრაობის კუთხით.

თანამედროვე ტიპის ვაშლის ბაღში გამოყენებულია ნიადაგის მოვლის მთავარი პრინციპი: ხეების მწკრივი 0,8-1,0 მეტრის სიგანეზე თავისუფალი უნდა იყოს სარეველებისგან, რომლებიც კონკურენციას უწევს კულტურულ მცენარეს, ხოლო რიგთაშორისებში გამოყენებული იქნას დაკორდება, რომელიც მიიღწევა ბალახების ხშირი თიხვითა და ნათიბის რიგთაშორისებში ჩატოვებით.

სხვლა-ფორმირება

ვაშლის ფორმირების საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს ცენტრალურ-ლიდერული წესით ფორმირება, ინტენსიურ ბაღებში იყენებენ შპინდელის, მაღალი შპინდელის, სოლაქსის, იფსილონისებურ, ტატურას და სხვა ტიპის ფორმირების მიდგომებსაც.

საყრდენის მოწყობა

ინტენსიურ ბაღებში საყრდენი სისტემის მოწყობა ხდება 300 - 350 სმ ხის, ბეტონის ან მოთუთიებული მეტალის ბოძების გამოყენებით. გავრცელებულია 3 ან 4 მავთულიანი შპალერის სისტემები. ბოძებს შორის დაშორება შესაძლებელია იყოს 5 - 8 მეტრი.

მცენარეთა დაცვა

ვაშლის წარმატებული მოყვანა შეუძლებელია მავნებელი-დაავადებებისგან მიზანმიმართული ინტეგრირებული დაცვის გარეშე. ვაშლს განსაკუთრებით აზიანებს დაავადებები: ქვეცი და ნაცარი, ასევე მავნებლები (ვაშლის და აღმოსავლური ნაყოფჭამიები, ბუგრები, ტკიპები, მენალმიები და სხვა). ამიტომ აუცილებელია მცენარეთა დაცვის შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება შესაბამისი სქემების გამოყენებით.

ნაყოფების გამოხშირვა

ვაშლი უფრო მეტ ყვავილს იძლევა, ვიდრე მოსხმა შეუძლია, ამიტომ ადრე მათხულში ატარებენ მედმები ნაყოფების შევლას. ამ ოპერაციის მიზანია: ტოტების ჩამოტევის თავიდან არიდება, მსხვილი ნაყოფების მიღება, ნაყოფების ფერის და ხარისხის გაუმჯობესება, მომავალი წლის სანაყოფე კვირტების ჩასახვა, მენლეობის თავიდან აცილება. ნაყოფების გამოხშირვის ოპერაციის ჩატარება უნდა მოხდეს ყვავილობის დამთავრებიდან 30 - 40 დღის პერიოდში. გამოხშირვას ახდენენ მაშინ, როდესაც ნაყოფის დიამეტრი გადაჭარბებს 20 მმ-ს. საქართველოში ეს პერიოდი დაახლოებით ივნისის დასაწყისისთვის დგება. ნაყოფების გამოხშირვა შესაძლებელია როგორც ქიმიური, ისე მექანიკური (ხელით მოცილება) მეთოდებით ან ორივე მეთოდის კომბინაციით.

კრეფა

კრეფა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მშრალ ამინდში, წვიმიანი ამინდის შემდეგ კრეფა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაყოფზე წვეთები აღარ იქნება. თუ ხილი დანაშულია, კრეფა უნდა გადაიდოს 1-2 საათით, ნამის შემზობამდე. კრეფის დროს ხის ვარჯი პირველ და მეორე იარუსებად ნაწილდება; ნაყოფი იკრეფება ჯერ ქვედა იარუსის, შემდეგ კი - ზედა იარუსის ტოტებზე.

ვაშლის კრეფა ხორციელდება შემდეგნაირად: ნაყოფი ხელისგულით თავსდება, შემდეგ ნაყოფის ყუნწი მავით და გვერდზე გადაწვების გზით ხდება ნაყოფის კრეფა. ამ დროს აუცილებელია ხილის ყუნწის შენარჩუნება. დაუშვებელია ნაყოფის ტოტიდან ქვევით ჩამოგლეჯა. კრეფის დროს თავიდან უნდა იყოს აცილებული ნაყოფის ერთმანეთთან მიხეთქება და დაჟეფა. აღსანიშნავია, რომ ხილის კანის დაუზიანებლობა და მისი დაუჟეფი ზედაპირი განაპირობებს შენახვის გახანგრძლივებას.

კრეფის დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რომ სანაყოფე ტოტები არ დამიანდეს და არ დაიმტვრეს. მათხულის ზოგიერთი ჯიში მნიშვნელოვნად სხვადასხვა დროს, ამიტომ ორ-სამ ვადაში კრეფას მოითხოვს.

